UNIONE EUROPEA
Fondo sociale europeo

MINISTERO DEL LAVORO E DELLE POLITICHE SOCIALI
Direzione Generale per le Politiche per l'Orientamento e la Formazione

UNIVERSITÀ DI FOGGIA

HR EXCELLENCE IN RESEARCH

მობილობის პროექტი MOBIS

ფოჯას უნივერსიტეტი (იტალია) აცხადებს კონკურსს საერთაშორისო სტუდენტებისთვის ეროვნულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად. პროექტი MOBIS-ი გულისხმობს ქართველი სტუდენტების ხუთთვიან მობილობას ფოჯას უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წლის პირველ ან მეორე სემესტრში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- პასპორტის ასლი
- ფოტოსურათი
- EUROPASS CV (ინგლისურენაზე)
- სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე)
- შესაბამისი ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი/ცნობა (თუ კანდიდატს მიღებული აქვს წინა განათლება ინგლისურენოვან პროგრამაზე, სერტიფიკატი/ცნობა აღარ მოეთხოვება)
- ნიშნების ფურცელი (ინგლისურ ენაზე)
- სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე)
- ეკონომიკური, სოციალური ან ჯანმრთელობის პრობლემის დამადასტურებელი ცნობა (არსებობის შემთხვევაში) (ინგლისურ ენაზე)
- ბოლოს მიღებული უმაღლესი განათლების საფეხურის დიპლომი და დანართი (ინგლისურ ენაზე) (არსებობის შემთხვევაში)
- კვლევის გეგმა (ინგლისურ ენაზე) (მხოლოდ დოქტორანტებისთვის)
- მხარდაჭერის წერილი მიმღები უნივერსიტეტის პროფესორის /ადმინისტრაციული ერთეულისგან (ინგლისურ ენაზე) (ოფიციალური დოკუმენტი სავალდებულო არ არის. საკმარისია ელ-ფოსტით მიღებული თანხმობა) (მხოლოდ დოქტორანტებისთვის)

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 09/06/2017.

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურს: სტუ-ს ადმინისტრაციული კორპუსი (კოსტავას ქ. 77), II

სართული, ოთახი N221; ოთახი N223; ოთახი N225; ტელ.: (+995 32) 236 31 25; 236 53 90; 236 32 06; ელ.ფოსტა: erasmusplus@gtu.ge

ფოჯას უნივერსიტეტი 1999 წლის 5 აგვისტოს უნივერსიტეტისა და კვლევის სამინისტროს დადგენილების საფუძველზე დაარსდა. უნივერსიტეტი იმთავითვე გამოირჩევა სწავლებისა და კვლევის ინოვაციური მეთოდებით. იგი ორიენტირებულია კვლევით პროექტებზე, ინტერნაციონალიზაციაზე, ასევე, კულტურულ ღონისძიებებსა და საზოგადოებრივ პროექტებზე.